# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 122

„27" აპრილი 2016 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, დიდი ხეივანის ქუჩა №36-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 10 მარტის №12 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 21 აპრილის №04/7711 წერილის (AR1384124) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, დიდი ხეივანის ქუჩა №36-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1381224 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

კოტეჯური დასახლება ორთაჭალაში
განაშენიანების რეგულირების გეგმა
2016

საპროექტო გადაწყვეტილება

# 2.4 განაშენიანების რეგულირების გეგმის სავალდებულო რუკა

N

## ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

| ნაკვეთის № | ნაკვეთის ფართობი | ფუნქციური ზონა | განაშენიანების საანგარიშო ფართობი | კ1-ის საანგარიშო ფართობი | კ2-ის საანგარიშო ფართობი | კ3-ის საანგარიშო ფართობი |
|---|---|---|---|---|---|---|
| №1 GWP | 586.526 მ² | სზ-3 | 293.263/586.526=0.5 | 293.263/586.526=0.5 | 879.789/586.526=1.5 | 58.652/586.526=0.1 |
| №2 GWP | 613.683 მ² | სზ-3 | 306.841/613.683=0.5 | 306.841/613.683=0.5 | 920.524/613.683=1.5 | 61.368/613.683=0.1 |
| №3 | 801.430 მ² | სზ-3 | 400.715/801.430=0.5 | 400.715/801.430=0.5 | 1202.145/801.430=1.5 | 80.143/801.430=0.1 |
| №4 GWP | 621.808 მ² | სზ-3 | 310.904/621.808=0.5 | 310.904/621.808=0.5 | 932.712/621.808=1.5 | 62.180/621.808=0.1 |
| №5 | 554.251 მ² | სზ-3 | 277.125/554.251=0.5 | 277.125/554.251=0.5 | 831.376/554.251=1.5 | 55.425/554.251=0.1 |
| №6 GWP | 626.555 მ² | სზ-3 | 313.277/626.555=0.5 | 313.277/626.555=0.5 | 939.832/626.555=1.5 | 62.655/626.555=0.1 |
| №7 | 740.254 მ² | სზ-3 | 370.127/740.254=0.5 | 370.127/740.254=0.5 | 1110.381/740.254=1.5 | 74.025/740.254=0.1 |
| №8 | 488.116 მ² | სზ-3 | 244.058/488.116=0.5 | 244.058/488.116=0.5 | 732.174/488.116=1.5 | 48.811/488.116=0.1 |
| №9 | 593.257 მ² | სზ-3 | 296.628/593.257=0.5 | 296.628/593.257=0.5 | 889.885/593.257=1.5 | 59.325/593.257=0.1 |
| №10 | 487.616 მ² | სზ-3 | 243.808/487.616=0.5 | 243.808/487.616=0.5 | 731.424/487.616=1.5 | 48.761/487.616=0.1 |
| №11 GWP | 798.377 მ² | სზ-3 | 399.188/798.377=0.5 | 399.188/798.377=0.5 | 1197.565/798.377=1.5 | 79.837/798.377=0.1 |
| №12 GWP | 557.860 მ² | სზ-3 | 278.930/557.860=0.5 | 278.930/557.860=0.5 | 836.790/557.860=1.5 | 55.786/557.860=0.1 |
| №13 GWP | 826.345 მ² | სზ-3 | 413.172/826.345=0.5 | 413.172/826.345=0.5 | 1239.517/826.345=1.5 | 82.634/826.345=0.1 |
| №14 | 60.357 მ² | რზ-2 | | | | |
| №15 GWP | 389.673 მ² | სზ-3 | 194.836/389.673=0.5 | 194.836/389.673=0.5 | 584.509/389.673=1.5 | 38.967/389.673=0.1 |
| №16 GWP | 448.442 მ² | სზ-3 | 224.221/448.442=0.5 | 224.221/448.442=0.5 | 672.663/448.442=1.5 | 44.844/448.442=0.1 |
| №17 GWP | 649.439 მ² | სზ-3 | 324.719/649.439=0.5 | 324.719/649.439=0.5 | 974.158/649.439=1.5 | 64.943/649.439=0.1 |
| №18 GWP | 147.124 მ² | სსზ-2 | 102.986/147.124=0.7 | 102.986/147.124=0.7 | 220.686/147.124=1.5 | 14.712/147.124=0.1 |
| №19 GWP | 399.786 მ² | სზ-3 | 199.893/399.786=0.5 | 199.893/399.786=0.5 | 599.679/399.786=1.5 | 39.978/399.786=0.1 |
| №20 GWP | 680.273 მ² | სზ-3 | 340.136/680.273=0.5 | 340.136/680.273=0.5 | 1020.409/680.273=1.5 | 68.027/680.273=0.1 |
| №21 GWP | 541.440 მ² | სზ-3 | 270.720/541.440=0.5 | 270.720/541.440=0.5 | 812.160/541.440=1.5 | 54.144/541.440=0.1 |
| №22 GWP | 388.871 მ² | სზ-3 | 194.435/388.871=0.5 | 194.435/388.871=0.5 | 583.306/388.871=1.5 | 38.871/388.871=0.1 |
| №23 GWP | 51.852 მ² | რზ-2 | | | | |

| | |
|---|---|
| სერვიტუტით დატვირთული გზა GWP | 1290.977 მ² |
| გზის მთლიანი ფართის ჯამი GWP | 1771.665 მ² |
| კერძო ნაკვეთების ფართების ჯამი | 3725.281 მ² |
| G.W.P.-ს ფართების ჯამი GWP | 8328.054 მ² |
| მთლიანი ჯამი | 13825.000² |

### შენიშვნა

საბჭოზე გამოთქმული რჩევებითა და რეკომენდაციებით პროექტი შეცვლილი იქნა და შენობა ნაგებობების გაბარიტული ზომების ნაცვლად პროექტში დატანილი იქნა საპროექტო არეალი რის შედეგადაც კ1,კ2 და კ3 კოეფიციენტების დაანგარიშება ამჟამად შეუძლებელია.

აქედან გამომდინარე სავალდებულო რუკაზე ვერ იქნება დატანილი კოეფიციენტები, განაშენიანების ფართები და შენობის გაბარიტული ზომები.

კოეფიციენტების დაანგარიშება მოხდება პროექტების შეთანხმების სტადიაზე, თუმცა ამჟამად კოეფიციენტები ათვისებულია ბოლომდე.

ზემოთ წარმოდგენილ სპეციფიკაციებში ნაჩვენებია და დათვლილია ყველა კოეფიციენტი ზონების მიხედვით.

რაც შეეხება სართულიანობას მაქსიმალური სართულების რაოდენობა განსაზღვრულია 3 სართულით რომელიც ქვევით ნაჩვენებია სქემატურად სიმაღლის განსაზღვრის კოეფიციენტში.

საპროექტო არეალი

სამანქანო გზა

სერვიტუტით დატვირთული სამანქანო გზა

სზ-3 — GWP-ს მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების გამიჯვნის გეგმა

სზ-3 — GWP-ს მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი და ტექნიკური შენობა

სზ-3 — კერძო პირების ფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების გამიჯვნის გეგმა

რზ-2 — რეარიაციული ზონა

სსზ-2 — მრავალფუნქციური შენობა

დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთი



განმარტებითი ბარათი



შ.პ.ს. „არტფაქტი"

L.T.D. „ARTFACT"

მთავარი არქიტექტორი: გიორგი თოხაძე